პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ თებერვალი, 2025 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 26 თებერვლის N2416/02 წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს შემდეგი უძრავი ქონება:

1.1. ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N87ბ-ში მდებარე 1202,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.02.032).

1.2. ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N87დ-ში მდებარე 2528,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.02.033).

1.3. ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N87ბ მიმდებარედ 916,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.02.667).

1.4. ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N87დ მიმდებარედ 873,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.02.670).

1.5. ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N89ა-ში მდებარე 7024,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობები N1 საერთო ფართით: 429,0 კვმ, მათ შორის I სართული ფართით - 211,5 კვმ; II სართული ფართით - 217,5 კვ.მ; N2 საერთო ფართით - 30,25 კვ.მ; N3 საერთო ფართით-336,5 კვ.მ; N4 საერთო ფართით-8,3კვ.მ (ს/კ 05.32.02.668).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქ ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 26 თებერვლის N2416/02 (N07-1425057171-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N87ბ-ში მდებარე 1202 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.02.032), აეროპორტის გზატკეცილი N87 ბ-ს მიმდებარედ მდებარე 916 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.02.667), აეროპორტის გზატკეცილი N87 დ-ში მდებარე 2528 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.02.033), აეროპორტის გზატკეცილი N89 ა-ში მდებარე 7024 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.02.668) და მასზე განლაგებული N1 - 429 კვ.მ., N2 - 30.25 კვ.მ., N3 - 336.5 კვ.მ., N4 - 8.3 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობები და აეროპორტის გზატკეცილი N87 დ-ს მიმდებარედ მდებარე 873 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.02.670) რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

ვინაიდან, ზემოხსენებული უძრავი ქონებები წარმოადგენს ერთიან გეოგრაფიულ სივრცეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განიხილება 5 (ხუთი) ერთეული უძრავი ქონების (ს/კ 05.32.02.032, ს/კ 05.32.02.667, ს/კ 05.32.02.033, ს/კ 05.32.02.668 და ს/კ 05.32.02.670) გაერთიანება, განკარგვის მიზნით, რის გამოც მიზანშეწონილია ეს უძრავ ქონებები აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად. აღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ქ. ბათუმის მუნიციპასლიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებები (ს.კ. 05.32.02.032, ს.კ. 05.32.02.033, ს.კ. 05.32.02.667, ს.კ. 05.32.02.670 და ს.კ. 05.32.02.668) შემდგომში განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

უძრავი ქონების (ს/კ 05.32.02.032, ს/კ 05.32.02.667, ს/კ 05.32.02.033, ს/კ 05.32.02.668 და ს/კ 05.32.02.670) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**